ყველაზე კარგი დღე, რომელზეც მზე ამოდის, არის პარასკევის დღე

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყველაზე კარგი დღე, რომელზეც მზე ამოდის, არის პარასკევის დღე, ამ დღეს ალლაჰმა შექმნა ადამი, ამ დღესვე შეიყვანა ის სამოთხეში, ამ დღესვე გამოიყვანა იქიდან და განკითხვის დღის საათი არ დადგება, გარდა პარასკევის დღისა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყებს, რომ ყველაზე კარგი დღე, რომელზეც მზე ამოდის, არის პარასკევის დღე, მისი გამორჩეული თვისებებიდანაა: ალლაჰმა ამ დღეს შექმნა ადამი (ღმერთის მშვიდობა მას), ამ დღეს შეიყვანა ის სამოთხეში, ამ დღე გამოიყვანა იქიდან და ჩამოიყვანა დედამიწაზე. განკითხვის დღის საათი დადგება მხოლოდ პარასკევის დღეს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3711

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee